<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 28.10.2013, სარეგისტრაციო კოდი: 140030000.05.001.017194) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **37-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„3. პოლიციაში ცალკეულ თანამდებობებზე მისაღები კანდიდატი სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიაში (შემდგომ – პოლიციის აკადემია) გადის სპეციალური მომზადების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამას ან კურსს პოლიციაში სამუშაოდ მიღებამდე ან მიღების შემდეგ.“.

2. **43-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„მუხლი 43. პოლიციის კადრების მომზადება

1. სამინისტრო უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემაში დასაქმებული პირების პროფესიულ განვითარებას, მათ შორის სპეციალური პროფესიული მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას.

2. პოლიციის კადრების სპეციალური პროფესიული მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ხორციელდება პოლიციის აკადემიაში.

3. პოლიციის აკადემია, სამართლებრივი და პროფესიული კომპეტენციების მქონე პოლიციის კადრების მომზადების მიზნით ახორციელებს საპოლიციო უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს.

4. საპოლიციო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში შესაძლებელია დაწესდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გაუთვალისწინებელი შეზღუდვები.

5. პოლიციის აკადემია უფლებამოსილია განახორციელოს ასევე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის ფუნქციის შემსრულებელი სხვა სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.“.

3. **43-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 43[1] მუხლი**:

„მუხლი 43[1]. პოლიციის აკადემიის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება, სწავლება და სტუდენტის სტატუსი

1. პოლიციის აკადემიის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღება პირი, რომელიც აკმაყოფილებს პოლიციაში სამუშაოდ მიღებისთვის საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილ მოთხოვნებს, გაივლის ამ კანონის 37[1] მუხლით გათვალისწინებულ შემოწმებას და წარმატებით ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

2. პოლიციის აკადემიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ფიზიკური, ტაქტიკური და საცეცხლე მომზადება, აგრეთვე სავალდებულო სპეციალური სასწავლო საგნები საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და საპოლიციო საქმიანობის შესწავლისთვის. ამ მიზნით პოლიციის აკადემია უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოებაზე სტუდენტის დაშვებას.

3. პოლიციის აკადემიის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე სტუდენტს ენიჭება უმცროსი სპეციალური წოდება-რიგითი, ხოლო ამავე პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო სპეციალური წოდება – ლეიტენანტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირს უკვე მინიჭებული აქვს სხვა სპეციალური ან სამხედრო წოდება. პოლიციის აკადემიაში სწავლის პერიოდი სტუდენტს კალენდარულ წელთა ნამსახურობაში ჩაეთვლება.

4. პოლიციის აკადემიაში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტის სწავლისთვის საჭირო ინვენტარითა და მასალით, კვებით, შესაბამისი უნიფორმითა და წახალისების საშუალებებით უზრუნველყოფს პოლიციის აკადემია. სტუდენტი სწავლის პერიოდში შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს საერთო საცხოვრებლით.

5. სტუდენტის პოლიციის აკადემიაში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. პოლიციის აკადემიაში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტი სარგებლობს პოლიციელისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი გარანტიებით.

7. პოლიციის აკადემიაში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში სტუდენტი ვალდებულია დაიცვას პოლიციელისთვის დადგენილი ეთიკური ქცევის ნორმები და სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებით დადგენილი რეგულაციები. სტუდენტზე ვრცელდება სამინისტროში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტები სტუდენტის საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით.

8. საპოლიციო უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სამინისტრო უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის დასაქმებას სამინისტროს სისტემაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პოლიციის აკადემია უფლებამოსილია სტუდენტთან გააფორმოს ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მის ვალდებულებას, სწავლის დასრულების შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმუშაოს სამინისტროს სისტემაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სტუდენტის მიმართ შეიძლება დადგეს დისციპლინური და მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2.

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის (შემდგომ – აკადემია) უფლებამოსილებები გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და პოლიციის აკადემიას (შემდგომ – პოლიციის აკადემია) და პოლიციის აკადემია ჩაითვალოს აკადემიის უფლებამონაცვლედ.
2. აკადემიის რექტორი და პრორექტორები, ასევე აკადემიის მოსამსახურეები გადაყვანილ იქნენ პოლიციის აკადემიის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ტოლფას თანამდებობებზე.
3. აკადემიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების პოლიციის აკადემიასთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა გაგრძელდეს აკადემიასთან ამ კანონის ამოქმედებამდე დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადით.
4. 2026 წლის 1 აგვისტომდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.
5. აკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას პოლიციის აკადემიის უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ ახალი სამართლებრივი აქტების გამოცემამდე.

მუხლი 3.
1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**